

კარი ერთოსტელი

კოლხეთი  
ფსალმენი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

# კუსა ექისტელი



## კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული  
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# კუკა ეჭილელი



კოლეური  
ფსალმუნები

ტომი 90

2020



მთ. რედაქტორი

**რჩხო (ემალიანე) აღაშია**

მხატვარი, მწერალი,  
საქართველოს მწერალთა,  
მუცნიერთა და საზოგადო  
მოღვაწეთა საერთაშორისო  
აკადემია „ქალდეა-  
საქართველო“-ს აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კრისტალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოს სასახლის №4, თე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-897-7 (90 ტომი)



\* \* \*

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირნება-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაჟა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბებული.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჭავებელასა და გალაკტიოზ ტაბიდის არემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმაცანის მედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მოერალია მეცნიერთა და საზოგადო მოდვარია საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთ-სამცნეომრო კაპადემიის ვიცე-კრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიბრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე და კანკისყრით ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მოერალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბაბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





## პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვის რომ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, რომ აზანზარებს ჩემად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შალმუნე-ბის“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავ და... დღეს ძვეშის ბასაბონად ხბამაღლა ვაცხადებ: ვა-შა მცირებული არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს სამზისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპახე, კოეჭმა ოქროს სამზისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შალმუნების“ იგავიურვლემელი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმირილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ მიღროინდელი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძვეშის, არც ერთი კალმოსანს არ გაუკითხავა.

100-ტომეული... ძვეშის გაჩენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრიპისა და სიძულვილის გვე-ლუშაპი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

### გულაზ ხარაიზვილი

კოეჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,  
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა  
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულიგად შეხვდი ყოველ ქვეას, ყოველ მაგებას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაგიერ

(დასასრული)

დიდო მგოსანო, განა მარტო ქართული  
სიტყვის მეხოტბე ხარ? – ჩაუჩურჩულა სიხარუ-  
ლით „აპრილის ქარმა“.

– რასაკვირველია, არა... ახმაურდნენ ტყეში  
ფრინველები, – პოეტი სიტყვის, სიკეთის, მეგობ-  
რობისა და სიყვარულის მთესველია მთელს სამ-  
ყაროში.

– ჰო, ასეა, დიდო მგოსანო, მაგრამ გეტყო-  
ბა, გულის სიღრმეში რაღაც გაკლია არა?..  
ამოსძახეს ზღვის ტალღებმა.

– ნეტავ რა არის ის რაღაცა? დიმილით გა-  
მოეხმაურა ამომავალი მზე. ვხედავ შენმა შემყუ-  
რემ რაღაც საიდუმლო აღვიქვი... დასძინა გან-  
თიადმა.

– პოეტმა ჩვეული სიდარბაისლით გადახე-  
და განთიადს და მოაგონა – „მე შენ მიყვარდი...  
სხვა არაფერი“.



მძიმეა ჩემთვის ამის მოგონება, – თქვა და-  
ნანებით.

– მძიმეა დიდო მგოსანო, დაკარგული სიყ-  
ვარულის მოგონება.

თუმცა როგორც ჩანს,

„სიყვარულმა გულის დირეზე

მხოლოდ ერთხელ დაგიკაპუნა“...

– შეიძლება ასე იყოს, – თქვა პოეტმა ნად-  
ვლიანად, მაგრამ რაა ჩემი საფიქრალი მასთან  
შედარებით, რაც ცხოვრებაშია... დიოსკურაი!  
წუხილისა და სევდის მომტანი...

სმა მიაწვდინა ქარიშხალმა, პოეტიც შეეხ-  
მიანა –

„ჰე, ქარიშხალო, ჩემო ძმობილო,

სურნელს რომ აფრქვევ ბალში

იისას,

ჩემი ლამაზი ეზო-კარი ხომ არ გათელე?

რადგან აქ წუხელ გამთენისას –

მეჯლისი ჰქონდათ ციცინათელებს“.

წარსულიც მრავლად იყო მეჯლისები, რომ-  
ლებიც ზღვის ტალღებივით აზგირთდებოდნენ  
და მიასკდებოდნენ ლოდს – რაინდივით თავმომ-  
წონენი, შეყვარებულის წინაშე, – გადაულაპარა-  
კეს ყაყაჩოებმა ლურჯთვალა იებს.



ამის გამგონე მთებმა ჰკითხეს: ამაზე მეტი  
საინტერესო არაფერი იცით?

პოეტის გენეალოგიაზე და სმენად გადა-  
იქცნენ. პოეტის დედა, დაიწყეს იებმა, ქალბატო-  
ნი ფედოსია, „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდ-  
ნე და ლექსების მეხოტბე, საქვეყნოდ ცნობილი  
პოეტის, ალიო მირცხულავას (მაშაშვილის) და  
იყო. თვით დოლბაიების ოჯახში ყველა (შვიდი  
ძმა და ორი და) ლექსე წერდა, სურათს თუ და-  
ვაკვრიდებით ადამიანი აუცილებლად ნახავს  
მსგავსებას – ბიძასა და დისტვილს შორის.

„ალბათ ასეთი იყო ნება  
ღვთისა და განგების“ –  
ჩაესმა პოეტს დედის ხმა.

ნუთუ მეც ალიოსავით პოეზიის სივრცეში  
ვიყავ აღმოცენებული? ჩაფიქრდა პოეტი, სახეზე  
ლიმილმა გადაჰკრა. გენებს ხომ დიდი მნიშვნელ-  
ბოა აქვს შთამომავლობისათვის. – შეაწის აზრი  
ენდელებმა.

– დიახ, ის ჩემი დიდი მასწავლებელი და  
ზურგის ქარი იყო. ბევრჯერ ვეოფილვართ სა-  
ქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის,  
აფხაზეთშიც.



ეპ, სოხუმი, ზღვა – ჩემი გიჟი ორეული, ჩემი მუზის დიდი სამყარო, – თქვა ვაჟა ეგრისელმა და გულის სიღრმეში ეტკინა რაღაც აფხაზეთის მოგონებამ ისევ ის ავადსახსენებელი 27 სექტემბერი მოაგონა და მთელ თრგანიზმში გამყინვარება იგრძნო.

პოეტმა წარმოიდგინა დღეები სისხლის დვრის, წამების, გოლგოთასი, თავისი ძირძველი მიწიდან 300000 ქართველის აყრის, ძნელია ამის თქმა მაგრამ უნდა ითქვას:

„... ქართველებო!

თუ სიცოცხლეა –

სიცოცხლეს ჰგავდეს,

თუ სიკვდილია სიკვდილი იყოს“...

კო, მართალია, დამარცება საძრახისია და გამარჯვება კი დიდება, რომლისთვისაც დირს სიკვდილი. ვიცით, დიდო მგოსანო, შენ იმ აზრით სულდგმულობ, რომ ცხოვრება შენი მას-წავლებელი იყო და ორ გაკვეთილს გიტარებდა – სიძლვილისა და სიყვარულის, თქვენ კი ყოველთვის ადამიანურად. რაინდულად, სიყვარულის გაკვეთილს სწავლობდით, რის გამოც შეგიყვარათ ქართველმა ერმა. თქვენთვის ბუნება საოცრება და თქვენც საოცრება ხართ ბუნების-



თვის – ეს არის ჩემი აზრი – აუწყა მოვარემ და  
თავისებურად. მეფურად გადმოხედა, რათა გან-  
საკუთრებულად მოფერებოდა პოეტს.

„აბა, ეს დამეც,  
მარადისი დელვას მინებდა,  
სიჩუმის ფსკერზე ერთიან გარსკვლავნი –  
ჩემი კოლხური დამის ფესვები.  
ფაზისის პირას ლეგენდების  
იწვის ზვინები,  
და მე სიშორით...  
და სინათლით  
თვალი მევსება“.

კოლხური სიდინჯე, სიდარბაისლე, ვაჟკა-  
ცობა, სიწმინდე.. ეს და კიდევ მრავალი სხვა სა-  
უკეთესო თვისებები დიდი პოეტისა – მოდებათა  
მოღმისთვის სამაგალითოა, თქვენ ცის დარ-  
ბაზში მძინარე ვარსკვლავებმა და სიამოვნებით  
გამოიღვიძეს პოეტთან სასაუბროდ –

„მეჩვენება:  
განთიადი წუხს და დელავს  
და წარსული, დაძენძილი ფრთათა რხევით,  
მოფრინდა  
და ქონგურზე ზის, როგორც ძერა  
და მწუხარამდე ქვათახევის



## ციხის

შემოგარენს ზვერავს“.

პო, ასეა, ისე საუბალუროდ, ყველაფერთან ერთად ბუნებაც წუხეს, ხედავს. თვით წარსული დაძენძილი ფრთათა რხევით მოფრენილა და ქონგურზე დამჯდარა, როგორც ძერა...

— მერე, რას მოგვცემს შემოგარენის დაზვერვა, მაშინ როცა შიგნითაა ჩატეხილი ხიდი!.. დაიგრგვინა ზღვამ და აღელვებულმა არწივივით აფრენა დააპირა..

— მეც თქვენსავით წარსულის ლაქვარდოვან ფსკერს ვუჭრეტ, მაგრამ მინდა ვიხილო ხვავრიელი შემოდგომა ჩემი ერისთვის, თუმცა ყველასთვის სახიფათოა თუ დაგვეწია დამე ტიალი — თქვა პოეტმა.

— ოდნავ იმედიან საუბარზე ზღვის ტალღბის თვალცრუემლიანი ჩქამი ნაპირს მოასკდა სისარულისგან, თოლიებმა კი თითქმის გადაფარეს მთელი ზღვა, ცამ კი თმა დაივარცხნა ცისარტყელას ლამაზი თითებით, ხოლო ცის ლაჟვარდში წვიმის შხაპუნამ ტკბილი პანგებით გარემო აახმიანა — ამღერეთ და იხარეთო პოეზიისა და აყვავებული შემოდგომის ლოდინში, გადმოსძახეს ქართველ ერს.

— ამის გაგონებაზე სალ კლდესავით  
მდგარმა პოეტმა უმალვე სიხარულით დაიწყო:  
„დიახ პოეზია ნაკადულებად,  
ჩანჩქერებად და მდინარეებად,  
ზოგან კი,  
ზოგან, ულამაზეს ტბასააც კი მოჰვავს,  
ქართულ მიწაზე —  
(სადაც მოყმე ვეფხვს რომ შეება)  
პოეზიის დიდი ზღვა ბორგავს“.  
პოეტის ოცნებაში მოყმისა და ვეფხვის შებ-  
მა ზღვის დიდ ბორგვას იწვევს, ხოლო პოეტს  
კი დედის სიტყვებს აგონებს —  
„იქნება ვეფხის დედაი, ჩემზე მწარედა ტირისა“...  
ერთპა, ცხოვრებავ, დღეს ვინმე იტყვის ამას  
აფხაზეთსა და სამაჩაბლოში?!.  
— დმერთმა ნუ ქნას, დმერთმა ნუ ქნას, რომ  
ასე არ ფიქრობდნენ აფხაზი და ოსი დედები...  
გადმოსძახეს წარსულიდან.

— ამინ! შეაწია სიტყვა მთელმა სამყარომ. —  
დიდო მგოსანო, თქვენი შემოქმედება უხვია, რო-  
გორც შემოდგომა, რთულია როგორც კოსმოსი.  
შეიძლება უფრომ მეტიც. თქვენი ლექსის ყოველი  
სიტყვა კი არა მარცვალიც სულის ნაწილია,  
რომლის გარეშე გული ვერ იგულებს და ფილ-



ტვებს სუნთქვა გაუჭირდებათ. ხერხემალი დაიშლება თითო მალებად, ხოლო ორგანიზმში უჯრედები, ქსოვილები, ორგანოთა სისტემები ვერ იმუშავებენ ნორმალურად ერთ მთლიანობაში.

— ვაჟა ეგრისელის მინიატურლი ლექსების ყოველი ფრთიანი სიტყვა ლამაზია ერთმანეთის სასიყვარულო გედებივით, მოჭიკჭიკე ჩიტებივით, სწორედ ამიტომ იგი გრძნობის, სიყვარულისა დაა ემოციების ნექტარში გაგდებს. თუ დაუკვირდებით თითოეული მარცვალი, ლამაზი ქალის თვალებსა და ვნებისაღმძვრელ ტუჩებსა ჰგავს, მთლიანობაში მარცვლებისგან შემდგარი თითოეული სიტყვა გასროლილი ტყვიაა მტრის-თვის, საწამლავია მოშურნეთაოვის, ხოლო მოყვარეთაოვის სიცოცხლეა, აზრია, ისტორიაა, ბუნებაა. სატრაფიალო ლექსები კი კოცნისთვის უშეცდომო ბარომეტრია, რითაც იშიფრება პოეტის ხასიათის მალული დაა განგებ დაფარული შინაგანი შტრიხები სულიერებისა და სიყვარულისა. თვით მის ლექსებში ყოველი სიტყვის მარცვალი იმდენად თბილია და მგრძნობიარე — კითხვისას მოგეჩვენება, თითოეული მათგანი ერთმანეთს სიყვარულით გადახვეულები არიან. თითქოსდა, მათ იციან თუ ადამიანის თვალები



სულის სარკეა, კოცნა კი უსიტყვო ემოციური ურთიერთობაა. ასეთ მარცვალს, სიყვას, რითმს და გონიერ აზრს მხოლოდ დიდი პოეტი ქმნის და ამ პოეტს – ვაჟა ეგრისელი ჰქვია.

არის ბუნება და სივრცე, სიყვარული და მთვლი სამყარო – ესაა მისი აღქმის ულევი განძი.

„ჩემმა გამჩენმა

ჩემი სამშობლოს –

ცის სილამაზე

თავს დამარისხა,

თუმც არაფერი არ დავუშავე,

და როს მოვკდვები, ჩემი შავი ზღვა,

ტანზე ჩაიცვამს მოგონებას –

უფრო უშავებს.“

– მართალია, – ერთხმად დაიძახეს ტალღებმა.

არ მთისა და ბარის, არამედ კოსმოსურია ვაჟა ეგრისელის პოეზია“ – იყო თქმული სივრცეებიდან.

„ჩემი დღეები და იმედები –

ჩემმა სიცოცხლემ

ქართლის ცაზე

დროშად გაჰკიოდა...

... და ჩემი ქვეყნის

განათლებულს



ვხედავ მომავალს,

ჩემი სამშობლოს დია სარკმლიდან.“

— ღმერთმა ინებოს, — სიტყვა შეაწიეს ხობის ეკლესიური სამყაროდან, ხოლო მდინარე ხობოსმა ყველას შეახსენა — ჭაბუკი მე გავაცილე ქალაქს და ნუთუ ვერ ცნობს თავის წინაპარსო“...

პოეტი უმალვე გაქანდა ხობის წყლისკენ, მაგრამ ძლიერი ქარი ამოვარდა და ურიცხვი ფოთოლი გროვა მოყარა.

„წახველ... დაგვტოვე

მარტოობის შიშველ ნაპირთან.“

ხმამაღლა იყო თქმული სოფელ ხორგის ხეების მიერ. ქარმა ფოთლები და სითბო წამოიღო, რომ საიუბილეოდ, ლამაზი ფოთლებისგან გამზადებული ნაბადი მოეხურათ პოეტისთვის. სტუმრად ჩამოსულს — ხობის წყალმა უთხრა:

„ამოუდამდა თვალები ლოდინს

და უშენობას

წუხს არემარე,

მოდი,

ო, მოდი,

იასამნის თეთრი ფეხებით.



მხოლოდ, სევდიან მოგონებებს –  
სულში მთვლემარეს,  
გთხოვ, გაგადრები,  
ნუ შეხები“...

გარდის ეკალო, გვიმრავ, გაიმეორა პოეტმა,  
თუმცა შორსა ხართ, მაგრამ თქვენთან ახლოს  
ყოფნას აღვიქვამ...

„... თქვენ შორსა ხართ,  
გულმა სიახლოვე კვლავ დაიჟინა,  
და სიყვარულის

მაღალ ციდან –  
თქვენი დუმილი  
ჩემთან ჩამოდის

მნათობების –  
ფერმკრთალ ყიუინად.“

– ოცნების ბურუსში მყოფ პოეტს წამით  
სულ გადაავიწყდა ვარდის ეკალი და გვიმრა...  
სიო მოფერებაზე შეკრთა... თვალები ერთი წა-  
მით მიღულა, ალბათ ვნებათა დელვას თუ დაქ-  
მორჩილა, მაგრამ უმაღვე თვალები გაახილა და  
ტუჩებზე განსაკუთრებულად თბილი შეხება იგ-  
რძნო. ვინ არის, რა ხდება ჩაეკითხა თავის თავს  
და იგი აღელვების გამო ოცნებიდან გამოვიდა...  
სადი, განსაკუთრებული მზერითა და გონებით



გადახედა თბილისს და სულ სხვა ოცნებათა  
სამყაროში გადავიდა, რომელსაც საქართველო  
და თბილისი ჰქვია.

„წუხეს ზედაზენი, – ჯვარზე გაკრული...  
ხოლო მახათა  
და შავ ნაბადა –  
ქართული ცის ქვეშ დამეს ათევენ  
და მოელიან კვლავ მზეშებმულ ცისკრის  
კარეტას,  
და... მუხლმოყრილნი დგანან მთები –  
გოლიათები,  
ჩემი თბილისის მაღალ კარებთან“.  
მუხლმოუყრელნი იქნებიან მთები გოლია-  
თები სანამ ცოცხლობს თუნდაც ერთი ქართვე-  
ლი, იხარე პოეზიის ქვეყანავ – საქართველოვ!  
– მოისმა ხმა კავკასიონის უდრევი მთებისა.  
– ამბობენ, დაიწყო მდელვარებით ცამ, ვა-  
ჟა-ფშაველამ მთები „გადმოხარა და სელ-პირი  
დააბანინა წყალზე“, ვაჟა ეგრისელმა ზღვები  
„ფეხისწვერებზე დააყენა და ხმელეთს იქით გა-  
დაახედა...“ და... განა მარტო ზღვები? – ნახეთ.  
„მნათობთა შუა-კერასთან –  
მთვარე მარტო ზის  
ბეჭავი,



და მწიფე ბროწეულივით  
ცის გარსკვლავები  
ხლეჩაგენ.

სადღაც ცეცხლის და  
სინათლის ხმა ისმის,  
ალბათ მზე არი –  
უკუნი დამის მთეველი,  
პოეტის ფიქრს იზიარებს.“

პოეტე ზრუნავს არა მარტო მზე, არამედ  
ქარიშხალი, მდინარეები, ჭექა-ჭეხილი, ელვა,  
ოკეანე, ზღვა, გარსგკლავეთი, რრუბლები, ნიავი,  
სიო, ტყე, მცენარეულობა, ერთი სიტყვით, მთე-  
ლი ბუნება, გადმოსძახეს მთებმა.

ამის გაგონებაზე პოეტმა თვალებიდან მად-  
ლიერების უხვი სხივი გადმოაფრქვია:

„მიმზერენ ჩუმად და დაჟინებით,

თვალებში უდგათ

სიხარული მზეებზე დიდი.

და ყურს უგდებენ –

ყელმოღერილ სიტყვებს თუ ბგერბს,

მიმახსოვრებენ...

და მოდიან

დღეები მშვიდად,

რომ გამიხსენონ ათას წლის მერე“.



დიახ, ვაუა ეგრისელმა, როგორც პოეტმა და პიროვნებამ ბუნების სიყვარულის ასახვაში სიცოცხლეც არ დაიშურა... ისე დაიხარჯა იგი თითქოს გაიცრიცაო, — იყო თქმული ვარსკვლავეთიდან.

— სიცოცხლის გაცრეცას არ ვნანობ, რადგან „შენ გენაცვალე, დიდო ბუნებავ, გულში რომ გვიკრავ დვიძლ დედასავით“. — უპასუხა პოეტმა ვარსკვლავეთს და მთელს უსაზღვრო სივრცეს. შემდეგ მომავლის იმედით გაუყვა მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირს. მას მთელ გზაზე ჩაესმოდა ნაღდი მეგობრების ხმა, რომლებთანაც პოეზია, ცა, დედამიწა, ქართველობა და საქართველო აკავშირებს.

— გამორჩეულმა ნიჭიერებამ და დგთოურმა განგების ძალამ ვაუა ეგრისელი პოეზიის ცის სრულიად ახალ კაბადონზე აიყვანა... (აკად. ი. ახუაშვილი).

— ვაუა ეგრისელის პოეზია — საქართველოს დიდი ისტორიაა, ფილოსოფოსის თვალით დანახული (აკად. ს. ბაქანიძე).

— „როგორც პოეტი, ვაუა ეგრისელი, სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად“ (ი. ბარამიძე — პოეტი).

— „ვაჟა ეგრისელმა ლექსებით კი არა, ახალი სიტყვით გაამდიდრა ქართული ლიტერატურა“ (ა. არაბული — პროფესორი).

— პოეტური ხილვებით ვაჟა ეგრისელმა მკითხველს ახალი სამყარო გადაუშალა და ხედვის პორიზონტიც გააფართოვა (ა. დუმბაძე — აკადემიკოსი).

— სრულიად განსხვავებული, განუმეორებული მოვლენაა ვაჟა ეგრისელი ქართულ პოეზიაში (ლ. სორდია — პროფესორი).

ვაჟა ფშაველას შემდეგ, საქართველოს რომ არ მოვლენოდა ვაჟა ეგრისელი, ქართულ პოეზიას ის სიდიადე არ ექნებოდა. ეს სადავო არ არის, თუმცა ვინმე მაინც შეეცდება ამ აზრის გაფერმკრთალებას. ნათქვამია —

„ქართველი ქართველს თუ არ დალატობს, ომს ვერ მოიგებს ვერც ერთი მტერი“.

ქართველებო, იცოდეთ, ვაჟა ეგრისელის არც დალატი და არც გაფერმკრთალება არ შეიძლება, რადგან ის განუმეორებელია ბუნებასთან, ისტორიასთან და ქართველ ერთან მიმართებაში.

მხოლოდ ვაჟა ეგრისელს შეეძლო დაეწერა, უთვალავი (50 000) ლექსი ბუნებაზე, რადგან



ბუნება მისი უშრეტი სულიერი სამყაროა. მის სისხლში ბუნებისა და ადამიანის მიმართ იმდენი დადგებითი მარცვალია, რომ არც ჰაერის უკმარისობა და არც სისხლის მიმოქცევის დარღვევა ორგანიზმში არასდროს განუვითარდება, პოეტის გული მუშაობს სიკეთისთვის, სიყვარულისთვის, სამშობლოსთვის.

პიროვნება, რომელიც ვეებერთელა ზღვას უნაზეს სატრფოდ აღიქვამს, თავისი პოეზიით ქვეწად თუ წაშლის სიკვდილის ნაფეხურებს, მაშინ ყველა ქართველი მისადმი სიყვარულის კოცონზე დაიწვება აბედივით.

ვაჟასეული ცის მნათობები დედამიწას ისევ კოცნის და ლურჯი სიშორის ტოტებს არხევს... სწორედ ამ დროს სხივთა ლიცლიცით გამოცოცდა ერთი კაშკაშა გარსკვლავი, ქარის მსუბუქ ფრთებს გაჟყვა და პოეტს მიუალერსა, რათა მას არ მიეკაროს სიკვდილი. ზღვაც ფიჭრობს პოეტზე თავისი ჩალურჯჯებული დიდრონი თვალებით.

— ... ეგრისელის პოეზიაში რაღაც მომხიბ-ვლელი და გამოუცნობი იდუმალებაა.



ნეტავ რა არის ეს მომხიბგლელი საგანძუ-  
რი და გამოუცნობი იდუმალება დიდი მგოსნის  
შემოქმედბაში მკითგელთაოვის მოგვინდვია...

თავად პოეტი კი მარადისობის წვიმას ელო-  
დება:

„ლექსია – ჩემი მცხოვაც, არმაზიც,  
ლექსია –

ჩემი სვეტიცხოველი  
და არსაკიძის ბედს არ მოველი.

ჩემი ცის ჭერი –  
შავი ფიქრით აღარ მძიმდება.

პირიქით, –  
წვიმას ველოდები მარადისობის,

უნდა გაწვიმდეს მალე,  
როსმე თუ გაწვიმდება.“

ა მ ო ნ!

**თათა ლილისპურელი**  
*ნაწყვეტი წიგნიდან – აღქმა ანუ  
საოცრებათა სამყაროში*

გაგრძელება შემდეგ ტომში



## მეცნერები

(ხუმრობით)

მინაწერი „კოლხურ ფსალმუნებში“ 100 – ტომეულზე.

რვა პლანეტის<sup>1</sup> ძახილს ისმენ!

(იღვიან ერთმანეთთან!)

ამ ქაოსში მერვე<sup>2</sup> არა!

შენ ხარ...

მეცნერე პლანეტა.

2019

<sup>1</sup> რვა პლანეტა: მზე, მთვარე, დედამიწა, მარსი, ვენერა, თუპიტერი, სატურნი, პლუტონი.

<sup>2</sup> მეცნერე – ვაჟა ეგრისელი მეცნერე შვილია, შვიდი ძმა და ორი და.

## 03176 ზაქარია ქართველი

იბერიის დიდ მეფისწულს,  
„დიონისე არეოპაგელს“,  
(იგივ პეტრე იბერიელს)  
ადგას დიდი ნათელი, –  
თავის დიდი მასწავლებლის –  
ოთანე ლაზისა და  
ზაქარია ქართველის.

1971



## ხილვა – ფარსმან ქველი რომში (ვარიანტი)

რა დრო გადის საქართველოს  
ზე-მიიწევს  
ოქროს ფასი.  
და იმატა უფრო ფასმა:  
კევდავ –  
რომში ველზე მარსის,  
ცხენზე ამხედრებულ ფარსმანს\*.

1962

---

\* ჩვენი წელთა აღრიცხვის 141 წელს, რომის იმპერატორის ანტონიუს პიუსის ბრძანებით რომში, საქართველოს მეფის ფარსმან მეორის ცხენზე მჯდომი ქანდაკება იქნა აღმართული.



## გარაგადინი

ისმის ხმალთა ჩახაზუხი –  
დიდგორის და  
ბასიანის,  
ტაშისკარის და მარაბდის  
და... სამშობლოს  
გული უცემს  
შენს „ფსალმუნთა“ –  
კარაბადინს.

1981



## სულის მარადისობა

ასე ბრძანებს სოკრატე –  
„სულის მარადისობა“,  
ვიდაც მიეთ-მოეთის,  
ფიქრით არ დაიშვება!

რადგან ყოფნა –  
ყოველთვის,  
არყოფნიდან იშვება.

1964



## მუსიკარებული ცა

შენი მფარგელი რომ ცაა,  
ხარ ამის  
გამო კეთილი.

და შენი „ვსალმუნები“ კი,  
მოხუცი ბერის ლოცვაა,  
უდაბნოს –  
გამოკეტილის.

1986



## ხილვა: ორი იორანე

ანათემას გადაცეს,  
მაგრამ დრომ  
ვერ დათრგუნა  
სიბრძნე, – კლდეა პიტალო!  
და ის სიბრძნე არგუნა  
ღმერთმა ქართველ –  
პეტრიწეს, და  
ბრძენთა ბრძენ –  
იტალოსს.

1967



## სუეროვას და პლანეტებს

ვით ზევსი მეხთმტყორცნელი,  
მოხველ ჭექა-ქუხილად,  
არაფერს არ ვამეტებ.  
გულში იკრავ უხილავ,  
ფიქრ-მიუწვდენ  
სივრცეებს,  
სფეროებს და  
პლანეტებს.

1973



ღუნდთა,  
ღურძუპთა,  
ქაშაგთა

მეფეთა-მეფე თამარის  
ღროს კავკასიის ქვეყნები:  
(ხუნძთა<sup>1</sup>,  
დურძუპთა<sup>2</sup>,  
ქაშაგთა<sup>3</sup>)  
დილის მზესავით ჰყვაოდა.  
როცა მზე ჩაქრა  
თამარის,  
მათი დღეებიც გაშავდა.

1980

<sup>1</sup> დადეხტანელთა

<sup>2</sup> ჩახანთა (ჩეჩნეთი)

<sup>3</sup> ჩერქეზთა (ჩრდილო კავკასიის ქვეყნები)

## პახილი

ათასწლეულების მერე,  
მე, ჩემს „კოლხურ ფსალმუნებში“  
სიბრძნის წყარომ ისევ  
უხმოდ,  
ქვედინებით რომ იდინოს,  
ვით რუსთველი  
ჩუმად ვუხმობ –  
დიდ პლატონს და  
დიდ „ბრძენ დივნოს!“\*

1970

\* დიონისე არეოპაგელი, იგივ პეტრე იბერი. (412-488 წწ.)



## 3001 აშენ დელაპრუას

თვალზე ლიბრი გადაკვრიათ,  
ბრძებია და  
ყველა ყრუა?!  
თუ ყასიდად ვერ გხედავენ –  
ცით მოვლენილ  
პოეტ-მხატვარს,  
ვითა ეჯენ დელაპრუას.

2019

## დიდი აიდგარი

შენ კოლხეთზე „პიმნებს“ ქმნიდი,  
 ფიქრმა ათასწლეულები,  
 სულ კარდაკარ მოიარა,  
 ბოლოს ჩუმად მიადგა –  
 დიდი გრიგოლ ხანძთელის\*  
 ხელთუქმნელ –  
 „დიდ იადგარს“.

1962

---


\* გრიგოლ ხანძთელი (758-860) პიმნოგრაფი, პოეტური პიმნების კრებულის „დიდი იადგარის“ ავტორი.



## გურების ნაწოვი

ხარობს ადამიანი,  
გით ბუნების ნაყოფი,  
ავდარი თუ დარია.  
გით ყოფნა და  
არ ყოფნა,  
ძილიცა და ღვიძილიც,  
მუდამ ერთად არიან.

2011



## მაქსიმე აღმსარებელი, ეჭრებ მცირე

როს წარსულის ვაღებ კარებს,  
მეფეთება მეფე ლირი!  
თვალს ვარიდებ...  
და ვკითხულობ „კომენტარებს\*“ –  
დიდ მაქსიმე –  
აღმსარებლის  
და ბრძენთა – ბრძენ  
ეფრემ მცირის.

1970

---


\* იგულისხმება პეტრე იბერიელის „არეოპაგიტული კრებულის“ მეორე ძველქართული თარგმანი XI საუკუნისა, რომელსაც დართული აქვს ზემოთხსენებული ავტორების „კომენტარები“.



## ალტერნატივა

ჩემი წილი ცა მრავალგზის  
დაისეტყვა,  
ამას ფაქტი ღაღადებს!  
მიტომ ელდა მიტაცებს.  
ვინც იწამოს ჩემი სიტყვა,  
ცად ამაღლდეს,  
ვინც არადა,  
დარჩეს დედამიწაზე.

1992



## გაომახილი

მარტო თბილისმა კი არა  
უტეხმა ციხემ უჯარმის  
და მათთან ბორაგვამ  
მტკვარისამ,  
სამივემ ერთად იჯავრეს:  
„ჰამბავი ვახტანგ  
გორგასალისა“.\*

1969

---

\* „ეერეთრაგნის“ – ქართველი გამოძახილი (IX ს.).



## პლატონი

ცხოვრების ხეს სიკვდილამდე,  
უსგამდა სიბრძნის  
შალაშინს,  
რადგან ყოფნა იყო მოკლე!  
არც სოკრატეს,  
არც სოფოკლეს,  
მე, ვითარცა კანონმცოდნე,  
აკადემოსის ჭალაში,  
მარტოდ მარტოს  
გტოვებ პლატონს.

1970



## ხილვა: მეორეის ტყე

მამლებს ყივილის ეტლებით  
 აღმოსავლით მოჰყავთ დილა,  
 ცად მნათები კანკალებენ...  
 ელავს...  
 მთვარის მზეობს, ტივი.  
 მარები და  
 მაკრალები<sup>1</sup>,  
 კვლავ უსხედან, ვითა კოცონს,  
 კამპამა ტბას –  
 მეოტიის<sup>2</sup>.

1968

<sup>1,2</sup> – მარები, მაკრალები – კოლხური (ქართველური) ტობები.

<sup>2</sup> მეოტიის ტბა – ევქსინის პონტო, ცალფა, შავი ზღვა.

## ლაზარე

ქვა!

რამდენი გათენდა დილა  
და დღე დადამდა!

აუკ!

რამდენჯერ ამოვიდა  
და ქვესქნელში ჩავიდა  
მოვარე!

მე კვლავ გეძახი...

გიხმობ ხმამაღლა:

ქვეი!

ლაზარე, გამოდი გარეთ!

1970



## გრაალი

ამოყოლილი ქარებს ქაოსის,  
წყვდაიდით ნაშობ ცას  
რომ აოცებს  
და გარსკვლავებით დამეს აალებს,  
დედამიწას რომ ჟრუანტლად  
უვლის,  
ელვა კი არა,  
არის გრაალი,  
ზესთა სამყაროს გონი  
და სული.

1980



## სიბრძნე გალავარისა

კოლხეთსა და იბერიას  
უნდა ცნობდე ყველგან,  
მუდამ!  
„მეზობელო კარისა!“  
და გახსოვდეს ქრისტე,  
ბუდაც,  
„სიბრძნე ბალავარისა“.  
(VII-VIII სს.).

1966



ვუთი\*,

ვუთიეთი\*\*,

ევუთი\*\*\*

ფუთიეთი და ფუთი,  
 მათთან ერთად „ეფუთიც“,  
 ძველ კოლხელთს რომ  
     ეპუთვნის,  
 პონტო\*\*\*\* ფსკერზე ინახვას,  
     ლეგენდებით შეფუთვნილს.

1959

\* ფუთი (მემ.) – ფოთი – ღმერთი ძველ კოლხურ პანთეონში.

\*\* ფუთიეთი (რაჭა) – ღმერთების სამყოფელი.

\*\*\* „ეფუთი“ – ბიბლიის წინაარ ყოვლის – მომცველი წიგნი, რომელიც დაკარგულია!!!

\*\*\*\* ეს სინის პონტო – შავი ზღვა.

აპრაამი,  
მოსე,  
აარონი  
(პატრიარქები)

სამმა, ოთხი საუკუნის  
მდელვარე ზღვა გადასცურა,  
მეტად საავდარონი  
და „გაღმიდან“ –  
ხმა მოგვესმის:  
სამი დიდი პატრიარქის:  
ბიბლიური აბრაამის<sup>1</sup>,  
დიდ მოსეს<sup>2</sup> და  
აარონის<sup>3</sup>.

1967

---

<sup>1</sup> – აბრაამმა – 175 წელი იცოცხლა, მოსემ – 130, აარონმა – 123 წელი (სამივემ – 428 წ.).

\* \* \*

ვარსკვლავებით გადახურულ  
მიწაზე და  
ცისქვეშეთში,  
რაც კარგი და ლამაზია —  
ქართულია...  
ცა ფარგელობს,  
სულისწმიდის თანაზიარს.

1968



## გოლჩური ცა

ზღვირსკარად მდგარ კოლხურ ცას,  
თეთრი მთვარე ეკიდა,  
მკერდზე,  
ვით ავგაროზი,  
მაგრამ მაინც წვდებოდა  
ავი თვალი ტაროსის\*,  
რადგან იქვე შავი ზღვა,  
იწვა, ვით ტარტაროსი.

1953

---

\* ტაროსი – ამინდის ღმერთი კოლხურ პანთეონში.



## საინგილოში

(„აინგილო“ (სპარს.) – ახალ მორჯულებული)

დგას აწმყო და ხმას არ იღებს!!!

მაგრამ შორი წარსულიდან,

ხმა მოიხმის –

თავგანწირვის.

ჰე, მამულო,

მტრით ტანჯულო!

არ იქნება,

ვითა მგელი და

არწივი,

რომ ქართველი მოარჯულონ.

1959



## ტაო-პლარკეთი

რაც ქამთასვლას გადაურჩა  
მონასტრები და  
ტაძრები,  
თურქებს დარჩათ მეტიწილი!!!  
მიტომ კვნესის,  
მიტომ ტირის,  
ჩვენი ლარჭემი და სტვირი,  
იოანე პეტრიწივით.

1963



## ხილვა: ბაბილონი

ბაბილონი ცად მიიწევს,  
არის მზე და  
ნოემბერი.  
და „ქალდეზე“<sup>1</sup> ქვლავ ლოცულობს,  
იბერიცა<sup>2</sup> და  
ებერიც<sup>3</sup>.  
ჯერ წარდგნის ხმა აღარ ისმის,  
დრო მეუფობს  
ნოემდელი.

1969

<sup>1</sup> ქალდე – მოვარის ხვთაება შუმერში.

<sup>2</sup> იბერი – ქართველი.

<sup>3</sup> ებერი – ებრაელი.



## სულეიმანი

ყველაზე ძვირფასი რაც არი —

სულია —

რაც გვაძადია...

ბრძენთაგან ეს შემიტყვია:

— ნეტართა სულები —

ზეცისქენ ილტვიან,

ცოდვილთა —

ქვესქნელში ჩადიან.

1981



## ხილვა: მნა ქართული

„... პქონდა მთელ ქვეყანას ერთი  
ენა და ერთი სიტყვა“.

ბიბლია

ცა მხრებით რომ უჭირავს –  
მზის სვეტით და  
მზის ბოძით  
და შორ ათასწლეულში,  
ხელებს რომ აფათურებს,  
ო, ის ენა ქართული.  
წინაპრებმა კი არა,  
სულიწმინდამ გვიბოძა.

1965



## ხილვა: 09ანე ზოსიმე (X ს.)

პვლავ უქადის გაბრწყინებას  
საქართველოს მზეს –  
მისანი.  
და ათასი წლის იქიდან  
მესმის: „ქება და დიდება  
„ქართულისა ენისავ“.

1965



## პატარტა და ანახიტა

ათასწლეულების მერეც,  
 იცნობთ ერთი დანახვითაც,  
 რომ კოლხია...  
 და ერთია:  
 ნანა<sup>1</sup> – დედა და ინანა<sup>2</sup>,  
 „ბიბლიური ესფირი<sup>3</sup> და  
 პასტარტა<sup>4</sup> და  
 ანახიტა<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ნანა – დედა (მეგრ. ქართ.) – ღვთაება.

<sup>2</sup> ინანა (შუმ.) – ღვთაება

<sup>3</sup> ესფირი – ბიბლიური ღვთაება

<sup>4</sup> პასტარტა (სირ.) – ღვთაება

<sup>5</sup> ანახიტა (სპარს.) – ღვთაება




## გამყინვარება

დიდი პომეროსის<sup>1</sup> მერე,  
ოცზე მეტი საუკუნე,  
იყო გამყინვარება<sup>2</sup>,  
სანამ შოთა ინდოთა სპიო,  
აღარ მოდგა  
ქართულ –  
სიტყვის  
აუდებელ ციხის რკინის კარებთან.

1968

<sup>1</sup> პომეროსი – დიდი ბერძენი პოეტი (VIII ს. ძვ. წ.).

<sup>2</sup> იგულისხმება დედამიწის გამყინვარება, რომელიც თურ-მე 100 000 წელი გრძედებოდა.



\* \* \*

სიძულვილმა ადამის,  
 აშკარა თუ  
 ფარული,  
 ჩვენი სიყვარული,  
 ვერ იქნა.  
 ვერ გამურა,  
 მით იყო საკრალური,  
 რომ გვიბოძა ამურმა\*.

1959

---

\* ამური (რომ.) – სიყვარულის ღმერთი.



ALBERT

## დიდგორი

„ძეგლი ავიგე ხელოუქმნელი  
მარად უკვდავი“.

პუშკინი

სამშობლოსთვის დღე-ღამე,  
ერთიანად ათენა,  
და გელათი აქცია –  
სიბრძნის „ახალ ათინად!“  
„ძლევად საკვრიველი“,  
მკერდზე გადაიგორა,  
მერე ძეგლად დაიდგა.  
დიდი ომი – „დიდგორის“. (1121 წ.)

1973



## ზელვა: იგერები და მგერები

ბაბილონი ცას აალებს  
 და ახლოს არ იკარებს –  
 სიკვდილსა  
 და სიბერეს.  
 ურში ვხედავ მცველს –  
 გრაალის,  
 ებერებს<sup>1</sup> და  
 იბერებს<sup>2</sup>.

1990

---

<sup>1</sup> ებერები – ებრაელები (მოსეს შთამომავალნი.)

<sup>2</sup> იბერები – ქართველები (ქალდეველთა ნაშიერნი.)



## იოანე ზოსიმე, ფილიპ ბეთლემელი

მერქ რა,

რომ გვიან მოხვალ,  
ათასი წლის სიშორიდან,  
ქართულ ენის ყანის შრიალს,  
აყურადებ,  
ვით მეველე  
და ხმა გესმის შაირმოთხველთა:  
იოანე ზოსიმეს და  
პოეტ ფილიპე ბეთლემელის.  
(X ს.)

1968



\* \* \*

ეჰეი!

ვაუა ეგრისელო!  
გაჩენილო შენ ზღვისკარად.  
არ გჩვევია წელში მოხრა.  
ქართულ სიტყვის ამირანო,  
კავკასიის ქედზე არა,  
მიჯაჭვულო წარსულს –  
კოლხობა.

1962



## ასკელაიონი და პლატონი


შენში სული ბობოქრობს  
ფაზისის და  
ნილოსის  
და ფრთებს გრიგალს ატოლებ!  
არ ხარ შენ ჰელიოსი<sup>1</sup>  
როგორც დიდი პლატონი<sup>2</sup>  
და ვით ასკლეპიოსი<sup>3</sup>.

1992

<sup>1</sup> ჰელიოსი (ბერძ.) – მზის ღმერთი.

<sup>2</sup> პლატონი – ბერძენი ფილოსოფოსი (ძვ. წ. ძღ. V b.).

<sup>3</sup> ასკლეპიოსი (ბერძ.) – მკურნალების ღმერთი.



## ზიქარათები

მოვარდნილი ქარ-ბორიით<sup>1</sup>,  
 ნგრევა ათასწლეულების,  
 ძველ კოლხური –  
 მზით უნათებს.  
 სულიწმიდის მადლით ნაგებ –  
 შენს „ფსალმუნთა“  
 ზიქურათებს<sup>2</sup>.

1980

---

<sup>1</sup> ქარ-ბორია – ნგრევის ღმერთი.

<sup>2</sup> ზიქურათი – მცირე მოცულობის ტაძარი.



## ხოლო: მზრა (XI-XII სს.)

წყვდიადი ქვლავ დგას ღამის,  
და ასეთ დროს,  
ვით იმედი,  
გლახაკთა სულში ივანებს –  
„ყარბიობის მწარე ჟამი“,  
ეზრას<sup>1</sup> მზით სავსე  
„დივანი“<sup>2</sup>.

1966

<sup>1</sup> ეზრა, იგივე იბ-ეზრა, დიდი ებრაელი პოეტი (1055-1139 წწ.).

<sup>2</sup> „დივანი“ – ეზრას პოეტური ოხზულებათა კრებული.



## შავი ზღვა

9000 წლის წინათ,  
 ეგვიპტის დიდ ხელმწიფის  
 სიზისტროსის,  
 კოლხეთში  
 ლაშქრობის დროს,  
 პატარა  
 მეოტიის ტბის პირას,  
 იყო ხმალთა კვეთება  
 თითქოს ცა ჩამოიქცა!  
 და ტბა სისხლით ადიდა...  
 გაშავდა...  
 შავ ზღვად იქცა...

1971

## მრიდული

ტიგროსთან და ევფრიტთან,  
ხუთიათასწლეულის მერე,  
ვით პილიგრიმი<sup>1</sup>,  
ღმერთებს არ მოვერიდე?  
და სანთელი ავუნთე,  
ცოდვილ  
დედამიწაზე,  
პირველ ქალაქ –  
ერიდუს<sup>2</sup>!

1983

<sup>1</sup> პილიგრიმი (რუს. იტალ.) – წმინდა ადგილებში სალო-ცაგად მიმავალი მორწმუნება.

<sup>2</sup> ერიდუ – წვენი შორეული წიანპრების – შუმერების და-არსებული პირველი ქალაქი მთელი ცისქვეშეთში (VII ათასწლეული).

## ანისფორმაზია

ვით იტყოდა ბრძენი კაცი –

არცოდნა კი

არცოდვაა,

მაგრამ მტერი ტორებზეა!!!

სამშობლო რომ აღარ გიყვარს,

ისტორიის არცოდნაა,

ანუ ანისტორეზია.

2019



## ლაზური და ფაჭლაშრი

„ბალაგარის სიბრძნეში“ კი  
ვითა არაბეთის ზღვიდან,  
პონტოდანაც ქრის  
ზღვაური,  
ვით ქართულში ლაზურის და,  
სპარსულში კი ფაჭლაურის\*.

1964

---

\* საშუალო ირანული ენა (VI-VII სს.).



## ზელვა: ქანაანი

ჯერ იქ ქრისტე არა ჩანს!  
ღმერთმა,  
უღმერთობისთვის,  
მეტად მკაცრად დასაჯა  
ქანაანელთა მამული:  
ათასეულ წლის მერე  
ვხედავ ორი ქალაქის –  
სოდომის და გომორის  
ნასახლარზე ბობოქრობს  
დიდი – ზღვა მეწამული!!!

1982



## მითიშრი შვილეული

ათასწლეულების მერე,  
ჩემი დიდი წინაპარის –  
ნოეს ძეთა ხოტბა მერგო,  
სიყვარული მინდა ვბარდნო  
და მით ვაქებ:  
ქართლოსს,  
ჰეროსს,  
კავკასია,  
ლეპოსა და ეგროსს,  
მოგაკანსა და ბარდოს.

1966



## აისპერბი

შოთორული კოსმოსიდან  
ისევ ისმენ ხმას –  
„ჩაკრულოს“.  
და თან ზღვაში აისპერგობა!  
და გლისერობა!  
პოეზიის ჯვარს გაკრულო!  
ეჰე! –  
ვაჟა ეგრისელო.

2020

---

<sup>1</sup> აისპერგი (ინგლ.) – ზღვაში მოცურავე უზარმაზარი ყინულის მთა.

<sup>2</sup> გლისერი (ფრანგ.) – დიდი სისწრაფვის მოტორიანი ნავი.

## მრიდული

სხვები თავს აფარებდნენ

წყვდიად გამოქვაბულებს!!!

ის კი აშენებდა ქალაქებს<sup>1</sup>.

(პეტრი „შავი თმა“ და

ქათქათა კისერი.)

ხმა წუხს წარდგნის

იქიდან.

— სად წავიდა ის ერი?!

1981

---

<sup>1</sup> ჩვენი შოორეული წინაპრების ქალდეველებისა და შუალებინაგები წარდგნამდელი ქალაქები: ერი-დუ (მეგრ.) ერი-იყო, ლარსა, ლარაქი, ური, ურუქი, ნიკური, კიტი და სხვ.



## ხილვა: ალექსანდრე მაკელონელი (ძვ. ყ. აღ. IV ს.)

ხმალმა მაკედონელის,  
გით ხუხულა დაამხო  
იმპერია სპარსეთის!!!  
(მეფე დარიოსი კი მწუხარებას  
ვერ იტევს.)  
და ვხედავ სამ სამეფოს:  
ლიზიმაქეს – ფრაგიას,  
და სელეკეეს – სირიას,  
პტოლემეოსის – ეგვიპტეს.

1964

## ხილვა: გიოგიგლი – ტეატრი

თერთმეტათასწლეულის სიშორიდან

თითქოს და მამცნეს

ელვა-დეპეშით:

რომ კოლხური ტაძრები –

ასო,

სიმბოლიკებით –

იქნა აღმოჩენილი გიობეკლი –

ტეპეში<sup>1</sup>.

2009

---

<sup>1</sup> გიობეკლი ტეპეში – კოლხთა (ქართველთა) უუძველესი საცხოვრისი, რომელიც ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე, აღმოჩენილი იქნა 11 ათასი წლის წინანდებლი ეპლესი-ტაძრები (სამღვრცველოები) – ასო ნიშნებით და სხვადასხვა სიმბოლიკებით, რაც ისტორიის მამის – პეროვოტეს წისქვილზე ასხამს წყალს: „კოლხებს რომ თავიანთი დამწერლობა უნდა ჰქონდათ“.



## შიგნები

ძევს თაროზე –

„დაბადების წმინდა წიგნი“.

სად ცხოვრება სუფეს მშვიდი –  
ცისქვეშეთში,

მილეთად...

რადგან წყალობს მოკვდავთ

„შვიდი

წმინდა წიგნი“...

„წიგნი იუბილეთა“.



## პონტოს სანაპიროზე

დილაა თუ დაისი, პონტოს სანაპიროზე,

ორმოცამდე ნათესავ-ძმათა\* ხმები

გაისმის —

სიმინდსა და სიყვარულს

თესენ...

და თან მარგლავენ...

მაგრამ დარი სამს უდგას:

ქართებს,

სვანებს...

მარგალებს. (მეგრელები.)

1960

\* „ორმოცამდე ნათესავ ძმათა — იგულისხემბიან: მარები, მაკრონები, მაკრიბები, მაკრალები, სასპერები, აბსინები, აბინგები, ხალიბები, ტიბარენები, მოსხები მესხები, კოლები, მიარზები, ჰენიოსები, ტაოხები და ა. შ.



## ხილვა: ქალდევები მეცნები

ლარსა<sup>1</sup>,

ური<sup>2</sup> და ურუქი<sup>3</sup>,

ჰყვავიან შუამდინარეთს,

და ბაბილონის მეფეებს

შევცქერი წარდვნის

წინარე:

გხედავ ხმლებს ქვებზე ალესილს,

და პირველ მეფე მზისა დარს –

ალონ-ალოლიმ ქალდეველს...

ამენონს...

ქსისურტ-სისტერის...

ოთი-არტის და ამემსინს.

2001

1, 2, 3 – წარდვნამდელი ქალაქები.



## ასტომეული

თურმე კირბში\* ეწერა,  
რომ იყოო კოლხური  
სულთა ძალმოსილება –  
ევასა და ადამში.  
აი, მიტომ მავანმა,  
დაიბანოს ხელები,  
სანამ „კოლხურ ფსალმუნთა“  
100 – ტომეულის  
გადაშლის!

1999

---

\* კირბი – კირიბი (მეგრ. ბატკანი), რომლის ტყავს საწერ  
მასალად იყენებდნენ კოლხები.



\* \* \*

მოსვლა დამაგვიანდა!!!

მაგრამ ვიცი ნიადაგ,

იყო ხმალთა კვეთება –

და ებრძოდა ურჯოლოთ,

თულებსა და

პირატებს...

მეუფოდა კოლხეთი

დასავლიდან –

აღსავლით.

თვით კასპიის პირამდე.

1975




## ლისია

მინაწერი პლატონის  
წიგნზე – „ლისია“.

ვითა მაშინ,  
ახლაც კი,  
სამიათასწლეულის  
მერეც უკადრისია:  
„ტკბობა ეროტიკული“ –  
საფო ლესბოსელს და  
„ვედროსა“  
და „ლისიას“.

1963



## ქალღეველთა „იმპერია“

ცისკენ ლოცვად მიიწევდა  
კოლხურ ვაზის რტო –  
ბაბილო,  
რომ ურჯულოს არ ესტვინა!  
(მტერიც ბევრი იგერია...)  
იყო ქამი –  
ქალღეველთა „იმპერია“  
მეუფოდა თვით ბაბილონს,  
სირიას და  
პალესტინას.

1960



პავალისიონი,  
უშაა, შხარა, თეთნულდი

წარდგნის წინ –  
თითქოს სიმყუდროვეა...  
ღრუბლები ცის კლდეს  
მიშლილებია...

კავკასიონი – ბიბლიური ნოეა,  
უშბა,

შხარა და  
თეთნულდი –

(ქამი,  
სემი და იაფეთი.)  
მისი შვილებია.

1965



ჰომეროსს,  
პირველად

რადგან ცხოვრება  
არის კორიდა,  
რადგანაც ასე მინდა მე –  
3000 წლის სიშორიდან  
ხმას ვაწვდენ  
ჰომეროსს და  
პინდარეს.

2020



\*\*\*

მიმწუხარისას ცის სილურჯე –  
მიწას ათოვს იებად...  
ნაპირებზე დამსხდარნი –  
ჩუმად წუხან ალები:  
ქარის აგრიგალებას  
და ზღვის ათოლიებას.

1969



\*\*\*

საიდანდაც ხმა ისმის:

— ამ ცხოვრების ყანაში,  
შენც იგივე მოგელის —  
რაც დიდ ფიროსმანაშვილს,  
ვან გოგის და  
გოგენის.

2009



## რიგული

მეგრულ ოდის აიგანზე  
კოლხის ხელით მოქსოვილი  
და ნაქარგი ჩანს რიკული –  
მჯობნი ბერძნულ-რომაულის,  
ესე იგი – ანტიკურის.

1979



## კოლეზიურ ლეგენდებს და მითებს

გერ იქნა, გერ განვიკურნე  
და კოლხეთის დიდ წარსულით  
ისევ ისე ავადა ვარ,  
თუთარჩელა დამეს მითევს,  
და ვით ფოთლებს,  
შუბლზე მაფენს –  
კოლხურ ლეგენდებს და მითებს.

2015



## ეპსტათ მცხეთელს, აბო თბილელს

ქართველებს რომ რწმენისათვის –

არ ემდერათ მზე და

„ლილე“,

ქრისტეს ფრჩხილის მკვნეტელებმა,

გადუქციეს დღე კი დამედ:

ევსტათ მცხეთელს<sup>1</sup>,

აბო თბილელს<sup>2</sup>

და ასურელ წმინდა მამებს.

1969

1 – ევსტათ მცხეთელი – სპარსი

2 – აბო თბილელი – არაბი



\*\*\*

ეხეთქება ნაპირს მტკვარი  
და არაგვის ვისმენ ხმაურს  
და წოჩქოლი მთებმაც შექმნეს.  
ვჭვრებ: ყურყუთას ბნელ ჭალაში –  
მოდარაჯე კოლოტაურს,  
სააკაძის  
ვითომ ტყვედმქმნელს.

1983



\*\*\*

ბევრ დიდ მეფეს და  
კეისარს,  
ხსოვნისა და უკვდავების  
ქარი ჩუმად მიხურვია,  
მაგრამ შენ კი დავიწყებას  
კლანჭებიდან გამოსტაცე –  
ან მარე<sup>1</sup> და ფიხუნია<sup>2</sup>.

1996

1 – ან მარე (ცის კაცი) – კოლხეთ-ქიმეთის (ეგვიპტე)  
მითიური ხელმწიფე (5185 – 5120)

2 – ფიხუნია – კოლხეთის, აიგბის წინარე მეფე



\*\*\*

უპან დარჩა ზღვები და  
ჰერქულესის სვეტები...  
სელისგულზე გიწყვია ცხრა კი არა,  
ცამეტი,  
სვეტი... არრას ვამეტებ.  
შენ კი მაინც კოსმიურ –  
ბნელში დაეხეტები  
და დაეძებ უხილავ სფეროებს  
და პლ ა ნ ე ტ ე ბ ს...

2014



## ღევების სასაფლაოზე

არაგვისპირას მწუხარისას,  
მოვა ქარი და  
ქაოსი,  
ცაზე ქუხილსაც დაურთავს...  
და იქვე მიგრიაულთას\*,  
წამს გაიელვებს კოპალა,  
დევების სასაფლაოზე.

1974

---

\*მიგრიაულთა – სოფელი ფშავეში



\*\*\*

„იქ უცხო მხარეში ალბათ მომელიან“...

ტერენტი გრანელი

ელის წმინდა ს ა მ ე ბ ა

და მას გრაალი ელის...

ბნელში ელვა დაეძებს

და მოისმის ნათლის ხმა:

-გ-რ-ა-ნ-ე-ლ-ი...

გ-რ-ა-ნ-ე-ლ-ი.

1966



## გრაალის მცველ რაიონებს

მძინვარ საუკუნეოა  
ბევრჯერ წაგდეა აუგი,  
რადგან „გონი“ წარსტაცეს  
ადამს...

და არ დაინდეს!  
შენ კი ძეგლი დაუდგი –  
გრაალის მცველ რაიონდებს!

2005



## ମାତୃଜୀବି

ଫିଲୋସ ମହିନେର ଅମାୟି,  
ମାରାଦିଲେ ତାତମନ୍ତ୍ରିତି,  
ତାହା ମାତୃଜୀବି! –  
କୁଳିରେଖିମିନଦିଲେ –

ଧର୍ମବନୀ,  
ବୈଚିକିତ୍ସା –  
ମାରାଦିଜାମାତୃଜୀବି.

1977



## მარდომი

მოვლენ საუკუნენი  
და შენზე ჯავრს იყრიან,  
რადგან სდევ სისადავეს,  
ვითარც მარდუქს,\* გიპერია  
„ცის და მიწის  
სადავე!“

2013

---

\*მარდუქი – სამყაროს ბატონი, ბაბილონის პანთეონში.



\*\*\*

მზე კი არა,

სამყაროს

უფლის ნება ააღებს,

სადაც რომ მეცამეტე –

სინათლის ცის კიდეა,

და... შენ იქ ჭვრეტ გრაალის,

როგორც კაცობრიობის

რწმენასა და

იდეალს.

1993



## 0320 ლაზი და პეტრე იგორი

გერრას აკლებს ქამთასვლა  
და ვერც ცათა –  
სიბერე –  
გრაალის მცველ ორ რაინდს –  
იოანე ლაზესა და  
ვეღარც პეტრე იბერის.

1980



## მარდუქი<sup>1</sup>

სანამ ათასწლეულთა

ოქროს კარებს მიხურავ,  
ენქი<sup>2</sup>,

მუდამ გახსოვდეს! –

ნაშიერი ზევსისა.

ოთხ-თვალავ და ოთხ-ყურავ,  
„ძევ მზისა და  
მზევ – ცისა“.

1979

1 – მარდუქი – ღმერთების მეფე, სამყაროს ბატონი – (IV – III ათასწლეული) ბაბილონის მფარველი

2 – ენქი – (ეა) შუმერთა ღვთაება, შემდეგ კოლხეთის სახე



\*\*\*

ადამის ძის ნაშიერებს  
ბაღში მდგარმა  
ცნობადის ხის  
კბილი მოსჭრა ნაყოფმა.  
შენი ყოფნის –  
მაღალ ხესთან,  
რა ხელი აქვს არყოფნას?!

2009



## კარდუ

ოთხი ათასწლეული

წევს იქიდან –

აქამდე,

როცა კარდუ\* მეფობდა –

შუმერსა და ბაბილონს,

კასიტსა და

აქადის.

1984

\*კარდუ – პრეიისტორიული (ლაზ-მეგრელთა) ქვეყნისა და  
მეფის სახელწოდება (ძვ.წ. 1595 – 1155)



\*\*\*

რასაც ცაში ეძებდა  
ნახა,  
სწორედ ის არის!  
მიტომ შურის ისარი,  
კიდევ ბევრჯერ იწივლებს,  
რადგან ნამაისარი,  
ხმები უდგათ მის ებანს,  
ბარბითს,  
ნასს და წინწილებს.

2010



## უფლის ქანა

ბიბლიიდან მზის გზით მოსულს,  
აღარ დაგკლებია ჯვარცმა  
და ყელს მიბჯენილი დანა.  
მაინც თესდი სიბრძნის მარცვალს,  
და ხარობდა —  
უფლის ყანა.

2003



\*\*\*

ცხოვრება –  
ზღვაა და დელვაა,  
სიცოცხლე –  
მიწა და მტვერია.  
ჰე, ჩემო მირიან! –  
ადამიანები ათასფრად მდევრიან,  
მაგრამ...  
ერთნაირად ტირიან!

1983



## ခရစ်ဖောက် ၀ၪ၆ ပုဂ္ဂနိုင်လွှာ

မိမိနာဂုတ် ၅၇၀ အတာဆို

၌၂။

မိမိနှင့် ဖို့စွာ ဤ ဥပုံများ...

သာနတ္ထလွှာ အနတ္ထလွှာ ဒုက္ခလာဖူ ၅၇၀

၂၀၁၀ ၁၉၈၀ ဧပြီ ၂၀၁၀ ၁၉၈၀

၂၀၁၀ ၁၉၈၀ ၂၀၁၀ ၁၉၈၀

1971



## სიცასა და სინას მთას

შეხე,

განა ელვაა,  
ბნელი რომ გააარღვია  
და წამით რომ ინათა.

იგი,

ღმერთი ოდია,  
არ ტოვებს თვის საუფლოს –  
სინწასა და  
სინას მთას.

1962



## ရွှေး-ကိုယ်လွှာ

မိတ္တာပေးစာ စွဲ၊ လျှော့နှင့်  
စွဲ၊ မြတ်စွဲ၊ အတာသံမြှော်လွှာပေး၊  
ဝါယာ  
ဝါယာ မိတ္တာလွှာ –  
နှာလွှာအားလွှာ –  
နှာလွှာ –  
ရွှေး-ကိုယ်လွှာ.


1969



\*\*\*

პოეზიის ზღვა ბობოქრობს,  
დრიანცელი არის ზვირთოა.  
შენ ხარ ერთი...  
დანარჩენი,  
არა დირს შენს –  
"ხამლთა ტვირთად" (მათე 3,4)

2011



\*\*\*

სიყვარულის მზის ტაძრიდან –  
ჩამორეკე სულ სხვა ზარი.  
ცისკენ ხელებს სულ იწვდიდი.  
რადგან შენ ხარ მონათლული,  
ვით ლაზარე,  
ცეცხლითა და სულიწმიდით.

1968



\*\*\*

შიშს თესავდა დღე და დამქ,  
დაფა-ზურნის  
და ხმა ზარის,  
ქალაქსა და დაბაში.  
ცეცხლის ფრქენით  
მოდიოდა:  
ლეპი,  
თურქი და ხაზარი,  
არაბი და აბაში.

1964



## ადამ კადმონი

არსთაგამრიგის ვარ მონა,

ვით ყარიბი და

ეული.

და ვითა ადამ კადმონმა –

"სახე ყოველი ტანისა"

მე,

ჩემში განვასხეულე.

1979

\* ადამ კადმონი – ანდროგენული პირველი კაცი დედამიწაზე



## ანდრომედას ნისლეული

ცის სიშორეს შესციცინებ,  
ფართოდ გაშლილ  
მთვარის ველებს  
და მზითმოსილ მთებს და ქედებს,  
მაგრამ სავალ გზას –  
